განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და თანამდებობაზე განწესების საკითხი დეტალურად არის მოწესრიგებული. 2019 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიქმნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მათი არჩევის უპრეცედენტოდ გამჭვირვალე, საჯარო, ღია და ხანგრძლივი პროცედურა, რამაც პრაქტიკაში უკვე უზრუნველყო ამ პროცესის რამდენიმე ეტაპად, საზოგადოების ფართო დაკვირვებითა და ჩართულობით წარმართვა.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ 2016-2018 წლებში საქართველოში განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის შედეგად გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები და გაუმჯობესდა საქართველოში სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. საქართველოში ეფექტიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების მიზნით კი, 2012 წლის შემდეგ, უკვე განხორციელდა მართლმსაჯულების რეფორმის 4 ეტაპი, რომლის ფარგლებში მომზადებული ცვლილებებიც, თავის მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობითა და მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით იქნა შემუშავებული.

ზემოაღნიშნული რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები. ასევე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა ვალდებულება გამოაქვეყნოს დასაბუთება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ. აღნიშნული დასაბუთება უნდა შეიცავდეს პროცედურის აღწერასა და შესაბამისი პირის დახასიათებას, მათ შორის, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და დასკვნას კეთილსინდისიერების თაობაზე. დასაბუთების შემდგენ პირად კი განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. ამასთანავე, განხორციელებული ცვლილებების შედეგად დადგინდა მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე სანდო ინფორმაციის მოძიების წესი და მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.

შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ეტაპზეც შემოვიდეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების ისეთივე სტანდარტი, რაც დადგენილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტის დადგენას საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციის სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების დროს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

ამ განმარტებითი ბარათის „ა.ა.ა" ქვეპუნქტში დასახელებული საკითხების მოსაწესრიგებლად აუცილებელია, შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ".

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ეტაპზეც დადგინდება საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების ისეთივე სტანდარტები, რაც დადგენილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების დროს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელი ცვლილებების თანახმად:

- ✓ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის ყველა ეტაპზე შემოდის გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი, რომელსაც, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა განმწესების პროცედურის მსგავსად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი განახორციელებს.
- ✓ გარდა დასაბუთების სტანდარტისა, შემოთავაზებული ცვლილებებით ასევე შესაძლებელი ხდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის ნებისმიერ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრება, თუმცა, თავად ეს პროცესი, განსხვავებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა განმწესების შემთხვევისა, როდესაც მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ გადაწყვეტილებას თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს, უფრო შემჭიდროვებული ვადის ფარგლებში განხორციელდება (საჩივრის წარდგენის ვადა 2 კვირიდან მცირდება 1 კვირამდე, ხოლო საჩივრის განხილვის ვადა 1 თვიდან მცირდება 2 კვირამდე). გასაჩივრების ვადების ამგვარად განსაზღვრა უზრუნველყოფს კანდიდატების შერჩევის პროცესის დროში ეფექტიანობას, რათა უმართებულოდ არ

გაჭიანურდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარდგენის პროცესი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ პროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია მისი გამოქვეყნება, რათა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა, შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, ახლებური სტანდარტით განხორციელდეს.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნორმისათვის უკუძალის მინიჭების შემთხვევას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ინიციატორები არ ითხოვენ კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებას.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაიმე სახის დამატებითი ხარჯების გამოყოფას, ხოლო კანონპროექტით გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმის კანდიდატის მიერ გამოყენების შემთხვევაში, სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯები ანაზღაურდება საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონის პროექტის განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი ითვალისწინებს გარკვეულ ფინანსურ შედეგს საერთო სასამართლოებისათვის იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტით გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმს გამოიყენებს კანდიდატი და გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. ამ შემთხვევაში სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯები ანაზღაურდება საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით ასეთი გათვალისწინებული არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

ასეთი არ არსებობს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი და გურამ მაჭარაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი კობახიძე, რატი იონათამიშვილი და გურამ მაჭარაშვილი